

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

მაგალითად, მოსარჩელე იყო ეკონომისტი, საპრეტენზიო კომისიის სამიდან არც ერთი წევრი არ იყო ეკონომისტი. საია მიიჩნევდა, რომ ასეთი წესი ვერ აკმაყოფილებდა საქმის სამართლიანად განხილვის პრინციპს და იძლეოდა მოხელის სამსახურიდან დაუსაბუთებლად განთავისუფლების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ საქმე არ მიიღო არსებითად განსახილველად, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა, რომელიც მოქალაქეებს გამოადგებათ საკუთარი უფლებების დასაცავად. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „[...] საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გულისხმობს სამართლიანი პროცედურების დაცვით საკითხის გადაწყვეტას, მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრებს უფლებას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე. ადმინისტრაციული ორგანოს მიუკერძოებლობის მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, არამედ იმ პროცესზე, რომლის მეშვეობითაც და რომლის შედეგადაც მიიღება აღნიშნული გადაწყვეტილება. ხსენებული არსებითად გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკუთარი ფუნქციები უნდა განახორციელოს ფავორიტიზმის, საქმის განხილვის მონაწილისადმი წინასწარი მიმხრობის ან წინასწარი განწყობის გარეშე ამავდროულად, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, საკითხი შეფასდეს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ იმისათვის, რომ საქმეზე მიღებულ იქნეს სწორი გადაწყვეტილება. **თუმცა აღნიშნული მიღწევადია საქმეში შესაბამისი სპეციალისტის/ექსპერტის მონაწილეობის გზით, რის საფუძველზეც, შემდგომ, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მიიღოს მიუკერძოებელი გადაწყვეტილება“^[1].**

ზემოთ აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, თითოეული ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, საჯარო მოხელის შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილება მიიღოს შესაფასებელი მოხელის საქმიანობის სფეროს მცოდნე ექსპერტის/სპეციალისტის დახმარებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება იქნება კონსტიტუციის საწინააღმდეგო.

აღსანიშნავია ისიც, რომ საია არ იზიარებს სასამართლოს არგუმენტს საქმის არსებითად განსახილველად მიუღებლობასთან დაკავშირებით. საკონსტიტუციო სასამართლომ საკუთარი პოზიციის განსამტკიცებელ არგუმენტად მოიყვანა მოსამართლის შესაძლებლობა, საქმეზე სპეციალისტის/ექსპერტის მონაწილეობაზე ისეთ შემთხვევაში, როდესაც მას არ გააჩნია სათანადო ცოდნა გადასაწყვეტ საქმესთან მიმართებით. საიას შეფასებით, არასწორია სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოსა და სასამართლოების ერთმანეთთან გაიგივება. სასამართლოებისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული ორგანოები იქმნებიან კონკრეტული საჯარო საქმიანობის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



განხორციელების მიზნით და მასში დასაქმებულ მოხელეებს მოსამართლეებისგან განსხვავებით, სპეციალიზებული ცოდნა გააჩნიათ. ამდენად, სასამართლოს ერთმანეთისგან უნდა გაემიჯნა მოსამართლისა და ადმინისტრაციულ ორგანოებში დასაქმებული მოხელეების კომპეტენცია.

[1] ხელმისაწვდომია: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13669>